


გაზეთი «ისარი»-ს გამწვანა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტრიტი დღის 15 კაპ. უკანასკ. — 10 კა. სულის მძვრ და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე. კვირა-უქმების გარდა, დღის 9 საათიდან ნაშუადღევს 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ ქ. № 1.



ყოველ დღეური საკოლიტიმო და სალიტერატურო გაზეთი

ხელმძღვანელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მიწვევები და კორექტივები უნდა მოხდეს დაქვია არ ინახავს. ინახება ერთი კვირა მხოლოდ დიდი წერილები და მოკლე წერილები. წერილები უნდა ხელისთვის საჭიროა დაეწეროს ჩარკვი პირდაპირ მთავარ რედაქციას ყოველ დღე. კვირა-უქმების გარდა, დღის 11-დან ნაშუადღევს 5 საათამდე. თითო წერილი ყველაზე 5 კაპ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция «ИСАРИ»

კენინა იოლა თადეოსის ასული ჭაჭუაძისა და ელისაბედ გრიგოლის ასული საკინაშვილისა კულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას: პირველი—დაუფარავრ ქველქის, სოლო მეორე ქვის

21/9-65

თავადის ილია გრიგოლის ძის

**ჭ ა მ ჭ ა მ ა მ ი ს ა ს,**

პანაშვილები უოველ დღე სოფ. საგურამოში, 12 საათზე. დაკრძალვა ტფილისში მოხდება. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოაცხადებული. (2-1)

ტფილისის გუბერნიის თავდაპირველი საკრებულო აუწყებს ქართველ საზოგადოებას

თავადის ილია გრიგოლის ძის

**ჭ ა მ ჭ ა მ ა მ ი ს ა ს**

ტრაგიკულად გარდაცვალებას. პანაშვილი განხორციელდება სულის მოსახსენიბლიად გარდაცვლილი იქნება კვირას, 2 სექტემბერს, დღის 2 საათზე, ტფილისის სიონის ტაძარში. დღე დასაფლავებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ქართულ დრამატულ სამოედოების გამგეობა აუწყებს სამოედოების წევრებს საბავიო წევრის

თ. ილია გრიგოლის ძის

**ჭ ა მ ჭ ა მ ა მ ი ს ა ს**

მოულოდნელ, ტრაგიკულ გარდაცვალებას. (1-1)

„ნაკადულის“ რედაქცია დღის მწუხარებით აცხადებს დიდებული მეგობრის

**ილია ჭაჭუაძის**

ვერავლად მოკვლას. (1-5-1)

„კახეთის“ მეგობრებთა საზოგადოების გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების ყველა წევრებს და მიუღო ქართველ საზოგადოებას, რომ კვირას, 2 სექტემბერს, ნაშუადღევს 2 საათისათვის დანიშნულია პანაშვილი მიცვალებულის საზოგადოების წევრის

თ. ილია გრიგოლის ძის

**ჭ ა მ ჭ ა მ ა მ ი ს ა ს**

სოლის მოსახსენიბლიად. (1-5-1)

ეკატერინე გიორგის ასული და გიორგი ლუკას ძე ბაქრაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავებსა და ნაცნობებს ულოდ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ძმის, ხოლო მეორე—მეორეს ცოლის-ძმის

ფილო გიორგის ძის ბასილაშვილისას.

განხორცილება საქუთარის სახლიდან კვირას, 2 სექტემბერს, დღის 10 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში, ხოლო იქიდან წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2-276-2)

3 ენენისთვიდან, ბუშენის მიმლითეკის სადგომში (ალექსანდრ. ბაი) გაიხსნება

**უმაღლესი კურსები**

**კავკასიის უნივერსიტეტის**

ადგილობრივი მასწავლებლები და სხვა ქალაქებიდან ჩამოული პროფესორები საკითხიდან ლექციებს ყოველ საღამოს, 6-9 საათზე. პროგრამები: უფასოდ ურ გებენ კურსების კანტორაში (იმავე სახლში), ყოველ საღამოს, 5-7 საათზე.

უბი: 1 მ. 50 კ. ნახევარ წლის, ამის გარდა 15 კ. ადგილობრივ ლექტორის ლექციაზე და 30 კ. უცხო ქალაქიდან ჩამოსულ პროფესორის ლექციაზე. შემთხ. კვირითი მსმენელი ყოველ ლექციაზე იხიდან 20 კ. პირველ შემთხვევაში და 40 კ. ყოველ შემთხვევაში. (6-265-5)

2 ენკანის-ვიდან ტფილისში გამოდის ყოველ დღეური საკოლიტიმო და სალიტერატურო გაზეთი

**ჩვენნი გზა**

გაზეთი იღობება: ერთი წლით 7 მან., ნახევარ წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარდა 90

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция «Чвени Гза» (3-5-1)

თვალის გემი

**მ. მ. ცხვინაძე**

დარბაზის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამუშაო, იღებს თვალთ ავადმყოფებს ყოველ დღე დღის 9-1 ს. და საღამოს 5-6 ს. ვერა, თლას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25-289-1)

ქუთაისში

კბილის გემი

**მ. დ. ნასარიძე**

იღებს ავადმყოფებს ექიმ ნასარიძის ბინაზე. (25-288-1)

**სამედიკინო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**იანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრე ზაღის მანქანაძე.**

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რედინო**—შინს ნეულ კვირა 3-4 ს.

**ი. ჩუდნოვსკი**—ნერვ., სულ., გიპოზი. ყოველდღე. 4-5 ს.

**რედინო**—კანისა, ვენ., სიფ. ყოველდღე. 4-5 ს.

**ინჟინერ**—ქურ. მელ. და ცხვ. ყოველ დღე 2-3 ს.

**ენკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2-3 ს.

**ფილაქსი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1-2 ს.

**გორბოვი**—შინა, ყოველ დღე, 1-2 ს.

**ილიაძე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1-3 ს.

**ასპინჯი**—ურისა, ყელისა, ცხვირისა. 1-2 ს. ყოველ დღე, და პარასკ.

**ზოვოვი**—შინ. შთავან. ყოველდღე 4-5 ს.

**მანუჩი**—ბავშვ. სამშ. ხუთშ. შაბ. 4-5 ს.

**ექიმი ქალი იანქიანი**—ქალ. თრ. შ. თხ. ა. და კვირ. 11-12 ს.

**პედიატრი**—ქირურ. ყოველ დღე 12-1 ს.

**ნეკრასოვი**—კბილისა, ყოველდღე 11-5 ს. ვერა. 11-2 ს.

**გორბოვი**—მასაჟი, ყოველ-დღე 11-4 ს.

**რედინო**—სიფილ. კან., ვენ., ყოველ. 4-5 სათ.

**პედიატრი** კლინიკური ანალიზი.

**ჩუდნოვსკი**, სულ., გიპოზი ყოველდღე 4-5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყველის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, პიპოზი, ძიძვების და მოსამსახურეთა განიხილა შეთანხმებით. (100-5-29)

გ ე მ ი მ

**ს. ხაჩინაძე**

უკვე დაბრუნდა აგრაკიდან და განახლა ავადმყოფების მიღება. (3-5-1)

**სკოლა და პანსიონი**

**მ. ალ. ბარგალისა**

ელისაბედის ქ. № 59, საკუთარი სახლი. მიიღებიან მოსწავლენი ყველა საშუალო სასწავლებელსა და კადეტის კორპუსში მოამზადებლად. (6-285-2)

**ნაფიცი ვეჟილი**

კუთსტავინი იოს.-მე ჭაფარიძე

გადავიდა ბელინსკის ქუჩაზე, № 2. (3-3)

2 სექტემბერს, დღის 10 საათზე, ტფილისის სთავად პანაშვილი პანკის საღამოში დანიშნულია ქართულ დრამატულ საზოგადოების წევრთა კრების გაგრძელება—გამგეობის ერთის წევრისა და სარევიზიო კომისიის წევრთა ამოსარჩევად. (3-3)

**მუთიანი**

ქალაქის თეატრი

შაბათს, 8 სექტემბერს, 1907 წელს **ერთად-ერთი** **განდრადი 5 კ ჩემიძისა.**

წარმოდგენილი იქნება: 1. **ბ რ ჭ შ ა ლ მ ე ბ**

დრამა მ მ ჰ. ერეკის თარგ. მ. მკავარიანი. II ახალი ბიეზა

**მხატვართა შორის**

დრამატ. ეტიუდი 1 მკმ. ა. გილანის თარგ. ა. ფლავსი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (3-5-1)

**სკოლა**

დიმიტროვისა და ჭაფარიძისა.

ამზადებს ბავშვებს ყველა სასწავლებელში, ასწავლიან უცხო ენებს, ქართულს და რუსულს. მოსწავლეებს მიიღებენ პირველ სექტემბრიდან. აქვე იღებენ მოსწავლეებს უმცროს განყოფილების საცხოვრებლად.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, № 121, ეზოში. (8-251-5)

ტფილისი, 2 სექტემბერი

თავზარ დატეხილი ქართველი საზოგადოება გონს ვერ მოსულა და ვერ გამოარკვეულა მწუხარებისაგან, რომელიც ილია ქაჭუაძის ვერავლად მოკვლამ გამოიწვია. ყველას ერთი და იგივე გულს შეშინაველი საკითხი აკვირებს: ვინ და რისთვის მოკლა მსოფლიო მეგობარი, 70 წლის მოხუცი, რომელსაც ორი დღის სიცოცხლეა ჰქონდა? ვინ იყვნენ ის ბარბაროსი მტარდელი, რომელთაც არაფერი არ დინდეს და თვით მოხუცი შეუღლე პოეტის, წყნარი, მშვიდობიანი, უწყინარი და ყველას პატივისცემელი ოღოლა უწყლოდ გალახეს და სიკვდილის პირზე მიიყვანეს? ცხადია, რომ აქ უბრალო ცნობის მოყვარება არ მოქმედობს: ქართველმა ერმა უნდა იცოდეს, უნდა გაიგოს—ვინ და რისთვის ჩაიდინა ესეთი ბოროტ-მოქმედება ქვეყნის წინაშე... სამწუხაროდ, დღეათ საეჭვოა, რომ ეს მკვლელობა წესიერად იქმნას გამოძიებული: ჩვენს დროში ეს ფრიად გამძვინვარდა ამ შემთხვევაში. კი უფრო გამძვინვარდა, რადგან ის უფროსად უფროსად, მინაც და მინაც თავს არ აიტყუებს სიპართლის გასაგებად: რომელიც ცნობილ თქმულებისა არ იყოს—tertius gaudet, „ის“ მოხარული იქნება, თუ ჩვენ ერთმანეთს დავრევით და ჩვენის ქვეყნის საუკეთესო შვილებს ჩვენვე მოვსაზობთ. გახეი „ზაქაქაზი“ გუშინ სწერდა, თვით საზოგადოებამ და უქთავრებად პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოკიდონ ამ საქმეს ხელი. ჩვენც ვფიქრობთ, რომ ამ გზით უფრო გავალდება საქმე და რომ ასეთი გამოკვლევის მოწყობა საქირაც არის, რადგან მრავალი სხვა და სხვა მითქმა-მოთქმა უკვე არის საზოგადოებაში, რომელნიც ასე თუ ისე პოლიტიკურ პარტიის სახელსაც იხსენიებენ... ჩვენ გუშინაც ვთქვით და დღესაც ვიმეორებთ, რომ არ გვეჭრა—რომლისავე პარტიების საქმე იყოს ეს საზარელი მკვლელობა. მაგრამ ის-კი შესაძლებელია, რომ ახლად აღვრავებულმა ეგრედ წოდებულმა ტერორისტებმა, რომელნიც თავის ნებაზე და სურვილზე მოქმედებენ და რომელთა ლაგამა პარტიებს ვერ მოუხერხებიათ, ჩაიდინეს ეს საზოგადოება. მაშინ პარტიები ვიდებულა მართლა გამოიძიონ საქმე და ამით მინც მისცენ დაკმაყოფილება აღვლევებულ გარნობას საზოგადოებისას...

ჩვენ არ ვვინტერესდებით, რასაკვირველია, თვით კომინალური მხარე საქმისა, ბოროტმოქმედთა დასჯა და სხვა ამგვარი. ჩვენთვის ცხადია თითქმის, რომ მკვლელობის პირდაპირი ჩადენი ბნელი, უვიცი, გონება დასშულნი ადამიანი არიან, რომელთაც არ-კი ენაოდან, რას სჩადიან, ამათ, ამ შეუგნებელ იარაღთა მოქმედებისა და ბნელთისას, თვით მოკლულმა პოეტმა აპატია დანაშაულობა, როცა თავის ცნობილ ლექსში „ლოცვა“-ში განგებას ევედრებოდა: ... მწუფრს მე განმანთაჯეს ცათ ჩემი [სული], შენგან ნამგნების სიყვარულით აღმერთს გუ [დი], რომ მტერთათვისაც, რომეჯათა აუნდ გუჯს [დასხვარი მკანს, გთხოვდე: „მეუნდე“-არ იგინს, დმუროთ, [დას აქმანს...“

სავალალო და საშინელი ის არის, რომ ჩვენმა ცხოვრებამ შექმნა ატმოსფერო, სადაც ასეთ ბოროტებს ადგილი აქვს და მარჯვე ნიღაღი აქვს მომზადებული. განა ჩვენში არ განდა მიმართულება, რომელსაც არ სწამს და ეზიზღება მთელი ჩვენი წარსული? განა ამ მიმართულების უვიცმა აღებებმა არ იმუშავეს დაუღალავად, რათა მიწასთან გაეწორებინათ ჩვენი მეგობარი, მწერალი, მოღვაწენი, რომელნიც ხილბის პირად მტრებად გამოიყვადათ და ბრბოს უსისინე

ბნენ—ჰვა მავათო?! ხალხს, რომელმაც არ იცოდა თავის ქვეყნის წარსული, თავისი ლიტერატურა, არ შეეძლო კრიტიკულად დაეფასებინა სხვისი დეკრიტიკული მოღვაწეობა, ისტორიულის წერტილის თვალთახედვით დაეფასებინა ძველთა ამაგი და ძველთა შეცდომანიც, ის ვაგბატონნი პირდაპირ ეუბნებოდნენ—აი ესენი ნაციონალისტები არიან, ესე იგი, თქვენი პირდაპირი მოსისხვე მტრები, რომელთაც ძველ საქართველოს აღდგენა უნდათ, მეფეებთანა, ბატონ-ყმობით და ამგვარ წარსულ დიდებუთათა! ადვილად წარმოსადგენია, რა ფანტიკურ მძულვარებას საეხავდა ამგვარი ქადაგება ბნელ მასსაში ყველა იმით მიზართ, ვინც „მართლ-მართლ“ არ იყო და ვინც, ილიისავით, სხვა მიმართულების იდეოლოგი და წინამძღვარი იყო. ანას, საუბედურთათ, ისიც დაერთო, რომ ილია ქაჭუაძის განგება და ისტორიამ თავადობა, მეამაჟულეობა არგუნა, რომელსაც კერძო საკუთრება სწამდა და „თავისას“ არავის ანებებდა... განა სხვაგან, ვთქვათ, მავალითად, რუსეთში არ იყო გაცხარებული კამათი ახალთა და ძველთა შორის, შვილთა და მამათა შორის? იყო და როგორი გაცხარებული იქნა! „შვილებმა“ გადააქარბეს კიდევ ძველის დაფასებაში, მოახდინეს სრული, როგორც რუსულ ლიტერატურაში ეძახიან, „переоценка вещей и ценностей“; მაგრამ ფიქრადაც არავის მოსვლია პირადათ ძველის მოღვაწეების ხალხის მტრებად გამოცხადება და მათ წინააღმდეგ ხალხში მძულვარების გამოწვევა. ამიტომ აქ არ მოუკლავთ გარეთ მწერლები და ახალური პოეტები, თუმცა ყველა მათ აქვთ საკუთრება და „თავისაზე“ უარს არ ამზობენ, თუმცა „მართლმორწმუნეთა“ დანაკს არ ეკუთვნიან და ხშირად განსვენებულ ილიაზე უფრო დაბალ ხარისხის პროგრესისტ დემოკრატები არიან...

უეცრად და სინებელ იხსენებოდა ღვთისმშობელი დიდი პოეტი და ჩვენი გამოჩენილი მოღვაწე. დღეის ეს მსხვერპლი, მაგრამ ვაი თუ ამახაც ვერ მოგვიტანა სარგებლობა, ვაი თუ ესლაც არ მოვიდნენ გონს „ხალხის ხელმძღვანელნი“, რომელნიც ფანტიკურის სიბრძნით აძაბებენ და უაზრულად მთელ ჩვენ თვითველ ცხოვრებას, ცველავებს, რასაც ჩვენის წარსულის ცხოვრების ბეჭედი აზის, თუმცა უნდა იკოდნენ, რომ „მწუფო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“ და უგუნდრი, ბრმა უარყოფა ყოველისფრისა სრულ განადგურების მეტს არავფერს მოგვიტანას. ვიმეორებთ, ჩვენ შორის ვართ იმ ახარისაგან, რომ ან პარტიას არ რომელსამე სხვას რამე დავწამათ. ჩვენ გგნდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რა საზარელი ატმოსფერო შექმნა უაზრო და ბრმა ბროლომ: ამ ატმოსფეროში გასაკვირველი აღარაა ისეთი მკვლელობა, რომელმაც მიუღ შეგნებულ ქართველობას თავზარი დასცა.

მეგობრის ავაძაქებს

ვისაცა სურს, ის გაჩუდეს, მე არ ძალმიძს მოთმინება, თვით კალამი ბრან-ნადვლით ათრთოლდა და იღვსება! თქვენ გვეგნებით, ავაზაკო, რომ ამართეთ ურცხვით ხელი, მოაშორეთ წული სოფელის ერის შვილი, მის სახელი! რას ფიქრობდით ნეტა იმ დროს, როცა სწვევდით წმინდა სიმებს, უმძილურთა, საზოგადოებრივ, თავს ადარებთ იქნებ გვირბებს? არა, თქვენ ხარო მუხანათნი, ქაობისა გველ-ბაყაყ, მაგრამ კმარა, თქვენთან არ დირს კამათი და ლაპარაკი! მე მივმართავ აკვანებულს,

ატარებულს ქართველს ერსა, იგი დასდებს შესაფერს მსჯავრს თქვენს უღმერთო საქციელს! მან დაპარა თვისი შვილი, სიამაყე, თვისი დიდება, იმან იცის თვისი მგონის პატივი და მის ღირსება! თქვენ-კი მოდით გვაძინოთ ახლო, ავახანო, თუ ვაქვთ გული, დინახეთ ერის ცრემლი, დინახეთ მისი წყლული! იქნებ მაშინ, იუდასებრ, დაიკრიათ გულს ხელები, ჯერ მიწას არ უშობნა თქვენისთანა ჯალათები! უფრონა, მას კი არა, თქვენი ტყვეა მოხვდა ერსა, ისტორიის საზიზარებელი, ფურთხი, კრულვა თქვენ სახელს!

ა. ევლანდია.

„კაცია ადამიანი?“

სახარული ამბავი ილია ქაქავაძის სიკვდილის მეხვიით დაატყდა მთელ საქართველოს! მოკვლეს ვინ?—ილია ქაქავაძე! არავინ თავის ღვთის ფიქრად აკრავილებდა ასეთ რამე საზარელს, საზიზარებსა და უცნაურს!

ადამიანი, რომელმაც თავისი გული ჩონჩხად აქცია და რომელიც ამ ჩონჩხის სიმბოლო საქართველოსათვის აღდგინდა ტუბილი და ძლიერად; ადამიანი, რომელმაც თავისი თავი, უმადლეს განების ქურქული, ნახევარ საუკუნის განმავლობაში აუშვავა საქართველოს ერის გულისათვის; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი სულის სიმტკიცე და ძალა შესწირა ჩვენის დაბნელებულ ცხოვრების აღდგენას, განმშენებლობას და განსეტყვებას.—ეს ადამიანი წარიტაცა დღეს ვიღაცას მურტალმა ხელმა!

ვინ მოკვლა ილია?—აი საშინელი კითხვა, რომელიც დღეს მთელ ერს უდგია წინ და რომელიც დაუკონებელ პასუხს თხოვლობს. პასუხის გაუცემლობა მთელ ერს საშინელი, სამუდამო სირცხვილის ლაფში ამოსვრით ემუქრება!

ვინ მოკვლა ილია? ქართველმა თუ სხვა ერის უმსგავსომ? თუ ქართველმა მოკვლა,—მაშინ ცხადია, რა ქართველიც აიღებდა თავზე ამ ყოვლად უმსგავსო, საშინელ და არა ჩვეულებრივ საქმეს, რომლის მიგვარიც ქვეყნიერებას ჯერ არა სმენია! პოეტი, პუბლიცისტი, ახალ ქართულ ენის დიდი შემქმნელი, პირველი მეტყველი ქართული ენისა—მოკვლეს, განუქრეს სიკაცულე, როგორც ვინმე ავახას, ან ქურდს, ან მანვე ადამიანს! ილია ქაქავაძე მოკვლეს იმისათვის, რომ იგი, როგორც მანვე პირი საზოგადოებისათვის, რომელსამე აუდიდეს იღვას? უნდა შესწირა ზვარაკად? ილია ქაქავაძე უნდა მოეკლათ, იმისი სიკაცულე იყო მანვე საქართველოს ხალხისათვის, და ათასმა გოშიავოშარამ, რომელიც თავს იღვას ჩვენი ცხოვრების მოწყობა და ნაც-

ვლად შერყვნეს, განადგურეს, შეურაცხვეს იგი, — უნდა იცოცხლონ, რომ ხალხს მალამოდ მოეცონ?

თუ მართლაც ილია ქართველმა მოკვალით და შევირცხვინეთ თავი ამერიკიდან უკუნისამდე, სიზარდისოდ გამოვირცხვით ჩვენვე ჩვენი თავი ხალხთა რიცხვიდან, მთელი კაცობრიობიდან,—ნება მომეცით ვკითხო მთელ საქართველოს დღისათვის სიტყვებით: ჩვენში, საქართველოში, საზოგადოდ მთელ საქართველოში, შავი ზღვიან დაწვებული დაღვინის საზღვრებამდე — „კაცია ადამიანი?“ თუ შეგეცა, ადამიანის სახით მოვლენილი და ამ მხრემ, ქართველმა კოლექტივურმა მხრემ წააყვანა გულგოთას ილია ქაქავაძე ეკლეს გვირგვინითა და თვით კი ლაფის გვირგვინი დაიდა თავზე მთელის კაცობრიობის თვალში?

ან იქნება ილია არა ქართველმა მოკვლეს?..

რა მიზეზიც უნდა იყოს იმის მკვლელობისა, ვინც უნდა იყოს მისი მკვლელი, საქართველოს დღეს ჩირქი მოეცხო, ისეთი ჩირქი, რომლის მსგავსიც მას არა სიადეს არ მოსცხებია, და თუ მართლაც ილია ჩვენში კიდევ დარჩენილი კაცი, რომელსაც ადამიანი ჰქვია, რომელიც თავის თავსა სთვლის ადამიანად, ერთადერთი რამ დაგვრჩენია,—შურის ძიება! მაგრამ ჩვენი ქვეყანა სიგრძე-სიგანით შეურაცხვეს და გააუბატურეს,—ხმა კი არავის ამოუღია ვეცაცურად და ღირსეულად. გარდა სასოწარმოების ლაჩრულ სახლისა, ღონე მიხელი შერცხვინილისა, ჩვენში ძლიერი ხმა არავის სმენია კია ხანია, და რა იმედი-ღა უნდა გვექონდეს, რომ ეხლა მინც შეიკვლება ეს სამარეში ჩასვლელად მომზადებულთა ხმა საშინელ, მქუხარე, ცოცხალ, მძლავრ და ნამდვილ მურტალ ადამიანს ხმა!

მითხარით, კიდევ და კიდევ: ჩვენში კაცია ადამიანი?

ვინდა დაგვჩა ილიას შემდეგ? ვიღას აქვს მოკალაქობრივი ძლიერი ხმა? ვინდა მეტყველებს ქართულად.—აღარავინ! მაგრამ რას ვამბობ,—აღარავინ! როგორ აღარავინ, როდესაც ივერსა გამოხრებულია „ზეცილ ჰყავთ მოვლენილი ახალი ჯურის „სოციალისტები“, „ანარქისტები“, „ინტერნაციონალისტები“, „შესანიშნავი პუბლიცისტები“, „მეცნიერები“ და „სწავლის“ სხივებით გაბრწყინებულინი, „პოეტები“ ბაირონზედ მაღლა მდგომნი, „რევოლიუციონერები“, რომელნიც დანტონსა და ჰემერს აქარებენ... და აღავსებენ მთელ საქართველოს ყოვლითა მადლითა! რათ გვინდა ილია—ესენი გვეყოფიან, „ახალ“ კალმისა და აზრის პატრონი, რომ ტურფად აყვავონ ჩვენი ქვეყანა! ვეპ, ვაგლახ ჩვენ თავს! ვინა გვჩრება ილია ქაქავაძის ნაცვლად, ვისი აზრი უნდა მოვისმინოთ, ვინ ესარჩლება ეხლა პარიზის კომუნის, ვინ პოეტობს, ვისი ქართული სიტყვა და ნაწერი უნდა მოვისმინოთ, ვისი მენი უნდა ვიმეტყვე-

ლოთ! მიხარით ერთხელ კიდევ,—ეს კაცებიც ადამიანები არიან, ილიას ნაცვლად რომ დაგვჩრენენ?!

ილია ქაქავაძის ნიჭი და ცოდნა, სიტყვა და კალამი მთელმა საქართველომ ვინახაურ თქმის მთელი ნახევარი საუკუნის ელგობაში; იუბილესი ნაცვლად ცხელის ტყვეებით ვეცით პატივი და სამარისაკენ გავისტუმრეთ! ეხლა რაღა ვქნათ?—ავიხროლოთ სირცხვილის ბალი და შიგ გამოვიხროთ ქართველები, თუ... განვადრძოთ სასიკვდილო მოღვაწეობა, მოვკლათ აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გავწმინდოთ საქართველო „ყოველისგან ბიწისა“ და ახალ რჯულის წმინდანებს ჩავდაროთ საქართველოს გათახსირებულ სულის ცხოვრების საქმე? თუ ხელში ავიღოთ მახვილი და მტერი განვგვიბროთ, ვინც უნდა იყოს!

მაგრამ, მითხარით, ჩვენში ამისთვის ვის შესწევს ძალა, მითხარით, საქართველოს სინიდისი კიდევ ცოცხალია, თუ სამუდამოდ დაიბრუნა სამარეს. ილია ქაქავაძესთან ერთად? დაე ეხლა გააჩინდეს ყველაფერი!

ჰევირობ კაცი ყოველსავე ამას, თავში აზრები გერევა, ფეხთაგან ნიადაგი გეცლება, ჰქრება ხალხის მუშაობისა, უიმელობა გულს გესახება. იქ ჩირქდება და სქელ, შხამიან ბაღმად იქცევა, და „უსასოდ ქმნის“, „ქვეით შეპყრობილ“ ივერის ძეს მთელი თავისი საშინელებით გეყვლება გონების წინაშე თავნარ-დამცემი კითხვა: რისთვის იტანჯები, რისთვის იღწვი და სანთელივითა დნები ჩვენს უცნაურ ქვეყანაში? აქ, ამ გათახსირებულ დანაშაულთა სამეფოებლოში მართლაც „კაცია ადამიანი“?

Baton.

მეოსნის ილია ქაქავაძის სსოფნას.

რა ხელმა მოგლა წყველმა, რად არ შეახმა ტანზედა, კავასის თალო, მგოსანო, განთქმული ქვეყანაზედა!

ეხლა კი მეგრა—დამგარა ხალხი დაღუპის გზაზედა, გესლით აქვთ გული გავსილ, მოუწამლით ძალზედა!

და აწ კარგ რაღას მოველით, თუ დღესა ვხედავთ ამასა: მძა მძას აღარ ინდობდეს და შევილი ჰყოლდეს მამასა!

მამა ილია! ეგ მსხვერპლი, ვციით რსაც არს ნაყოფი! აწ კმარა გამგონისათვის, მოკლედ თქაც არი სამყაფი!

რას ვიზამთ: უფიცოთ სამეფო განუსზღვრელი დიდია, ჩაბხილს ამოძახის დღეს ვისი ენაც ფლიდია!

შენ ვაგვინათე უფსკრული, ვაგვიღწე წყვილის ხილია; გვიკლავდნ შენებრ მოღვაწეს, არაფრისა აქვთ რილია!

ღირსეულ მსჯავრს სდებს, ვიმედობ, შთამომავლობა ამასა, და ჩვენ კი ცრემლით მოგირწყე ვო, მგოსანო, წმინდა საფლავსა!

რკინის გზის მუშა

ნათლუფელი შაქრუ

კაინ, სად არის მძა შენი?

„იქ თვით სამოთხე ჯოჯოხეთია, სას თვის შხამს ანთხვს მტრება და შური...“

ასე სთქვა მგოსანმა და ისე არსად გამართლებულა ეს უკვდავი სიტყვები, როგორც უბედურს საქართველოსა და თვით ამის მთქმელს ილიაზე.

ჩვენ გვემის, რომ მტრება და შური, არა თუ ჩვენისთანა ნახევრად ველურთა შორის, თვით დაწინაურებულს ქვეყნებშიაც უფლებადგებულია; ჩვენ ვიცით ბეგრი შავალითები, რომ სამშობლოს საუკეთესო შვილინი საქვეყნო მტრად მიუჩნევიან და სამარცხენო ბოძზე მიუკრავთ სრულმასხურებლად; გვახსოვს რამეცა საფრანგეთის ხალხი ზოლას, იმ ზოლას, რომელიც რამდენისამე ათეულ წლების განმავლობაში ფიხელ დარაჯდ და ეზრა თანამემამულეთა ავსა და კარგ; ეს უნარაფრადელი მოსილი ბოძი ფრანგთა აზროვნების სამშობლოდანაც კი გააძევეს იმიტომ, რომ იმან საჯაროდ აღიარა სიმართლე ერთისა და დაპყრო სირქუე მრავალთა. გვახსოვს ისიც, რომ იმისი ავეჯი საჯარო ვაჭრობით გაპყრდეს და ვითამე ამით დააქრეს მართლის მთქმელი. კარგად ვიცით რა უყვეს იესოს, რომელმაც ხმა აღიმადლა ადამიანთა თანასწორობისათვის,—გოლგოთაზე აიყვანეს და ჯვარა ატყვეს. მაგრამ ყველა ამას თავისი ახსნა-განმარტებაც თან ახლავს...

ხოლო რით ახსნება ილიას მოკვლა? შესაძლებელია, ვინმე გულბრტყვილომ სთქვას—ეს სენი სავითოდ მოღებულთა რუსეთის ქვეშევრდობითა შორის და აგრარულ მოძრაობით გააფორებულმა ხალხმა აქაც იჩინა თავისი ძალია.

შეუცლომა!

თვით მე, ამ სტრიქონების მწერალს, არა ერთხელ და ორჯერ მინახავს ილიასთან სადღესასწაულოდ მოსული გლეხობა, მასთან მომეკლეს; მინახავს, როგორც აღტაცებით შესცქეროდნენ ილიას, როდესაც ის ჩადავ მათ შორის და წიქითხა „გუთინის დედა“

„ეგრე ბეჭს ქვეშავათ, ჭაბავ, შე და შენ, წიქად გავატყუნეს შავი მიწა ჩვენს.“

რა გინდ უქაყოფილო ყოფილიყო გლეხობა, რა გინდ ბრახ მორეული ყოფილიყო ილიას მინც არ მოკვლავდა, საფურამოს გლეხობა ილიას სისხლის დანახვას ვერ იკისრებდა, იგი წმინდა იმის სისხლისაგან.

ჩვენ რამ ვამბობთ „გლეხობა“ აქ წოდებრიობას როდი გვგულისხმობთ. შესაძლებელია ცოდვილი შვილი ამ გლეხთა შორისაც გამოერია, მაგრამ ის გლეხი კი აღარაა, იგი დაქირავებული ჯალათია, სხვის სურვილისა და ბრძანების ყურ-მოჭირილი მონა, უფიცოთა და სულით

ვი, პი-ნი, კაველინი, სტასიულევინი, სპასოვინი და სხვანი. მთავრობა იძულებული გახდა ყური ეთხოვინა საზოგადოების განსთვის და დააღვა რევოლუციონის გზას უპირველესი ადვოკატი გეგარევიანი შორის საგლეხო რევოლუციონის (ბატონ-ყოობის მოსპობა), სასამართლო-სის, სათემოსა და სამხედროსას. იგი, სწორედ ასეთ შესანიშნავ დროს ვაჭრდებოდა და სწავლით იმოსებოდა ჩვენი სათავყენებელი, სავოე მკოსანი და ძლიერი საზოგადოე მოღვაწე ილია ქაქავაძე.

სამშობლოში დაბრუნებისას ილია დააღვა ეურნალისტის ხელობას და დაარსა საკუთარი ეურნალი „საქართველოს მოამბე“. უსაღრმობის გამო მხოლოდ ერთი წელიწადი (1863 წ.) იცოცხლა ახლობა ეურნალმა. 1864 წ. ჩვენშიც განთავისუფლეს გლეხ-კაცობა ყიბობისაგან და ილია ქაქავაძე მიიწვიეს მომრიგებელ შუაქაცად. მისი რაიონი იყო დღევანდელი სართაქალის საბოქაქული და ღუშეთის მაზრის ნაწილი, ანუ მცხეთის საბოქაქული. საგლეხო რევოლუციონის მიყოლეს (1868 წ.) სასამართლოსი და ილია ქაქავაძე დანიშნეს ღუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ. ამ თანამდებობაზე დაყო ტფილისის სათავად-ანაურის საადგილ-მამულის ბანკის დაარსებამდე 1875 წ. საზოგადოების თხოვნით ილიამ იკისრა ახლობის ბანკის თავმჯდომარეობა და შარშან წინამდე დარჩა ამ

დატაკთა ბრმა იარაღი.

კუთის საზღვრის-სიკვლიერება და უფროსის წყვილად ში ბოლილომ, ექვი არ არის, იქამდე მიყვანა გზა-კვალ ახნეული მოშურნი, რომ უცქერის და უხმოდ უხეტობობა, სხვა ნანა ვეღარ ვპოვებ, თუ არ სამარცხენო და დაწველებულ ქვეყნებშია მობი მკვლელობა. მოკვლა სამარის კარად მისულ მოხეტისა, მოკვლა იმ ადამიანისა, რომელიც ორმოც და ათის წლის განმავლობაში ხალხის გამოფხიზლებს საქმეს ემსახურებოდა, რომელმაც გულის ტკივილით წამოიძახა: „მამულო, საყვარლო, შენ როსდა აპყვავდები“—ო, ისეთი ურცხვი თავხელობაა, რისთვისაც თვით უსისტიკესი მსჯავრიც კი ცოტაა.

ვინ უნდა დასდოს ეს მსჯავრი ილიას სისხლის მტკიანთვის? ნათუე მოსამართლემბა? საზოგადოებამ?—ერთმეც, და მეორემაც, მაგრამ ყველაზე დიდი მოვალეობა ამ შემთხვევაში თვით საფურამოს მკვიდრთ ადევთ: დაე თვით ილიასთან ნახუბრარლევმა გლეხობამ დაპყრობის საზიზარო მკვლელები, დაე უსიტყუო ტყემაქ შესახოს ვარეწარს: კაინ, სად არის მძა შენი?

განმეჯილი.

ნ ს ძ ი რ ა ლ ე მ ს .

ცხოვრების ნაძირარებო! თქვენ, რომელნიც არ მალავთ თქვენს ღიმილს და სიხარულს ავახაკების მიერ განგმირულს საქართველების დიდი მგოსნის გვამთან, თქვენ, რომელნიც ასე ნასიამოვნები დარჩით მისის სიკვდილით, შეგეკითხეთ თქვენს სინდისს: „რა დაშავა ილიამ ისეთი, რომ ის სიკვდილის ღირსი ყოფილიყოს“. აშკარად და ხმა მადლია გამოაქვეყნეთ ეს და არა ქუჩის კუთხეებში ფუჭელით. ნუ თუ არ გესმით, რომ თქვენი ღიმილი ვაშა ავახაკებისადმი რომ იგი თანაგრძნობაა მწერლის ჯალათებისადმი, იმ მწერლისა, რომლის ნაწარმოებთ თვით თქვენვე აღიზარდენით, რომელიც 50 წლის განმავლობაში ამღარებდა ქართულ ღირსს მწერლობას.

მაგრამ თქვენისთანა უგვაო-უმაღურთათვის არის მხოლოდ ქვეყანაზე კუჭი, რომლის ამოსავსებათ თქვენვე; სეტყ-სინდისიანო, არ ეფრადებათ არა ვითარ გზას მერე უფრო საიდამ ისმის ეს სიხარულის ყუ-ნაშ იქიდან, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად უნდა სწუხდნენ, რომელნიც ყველაზე მეტად უნდა იყვნენ დაქარგულ მგოსნის მადრიენი!

უმაღურნო! დედის შემდეგ თქვენს გონებას ძუბუ აწოვა ქართველმა მწერლობამ და იმ ენის სწერლებმა, რომელიც ენის გარდა თქვენ სხვა ენა არ იცით, და მხოლოდ ამ ენის მწერლობის საშუალებით ავიხელით თვალემა!

მაგრამ, რას ვამბობ, თქვენ ისე ავიხელით თვალემა, როგორც იმ ავახას, რომელიც მუხანათათ დაეცა უიარაღო მოხეტეულს. თქვენც იმავე ავახაკობის შორს აღარ წასულხართ თქვენის სინ-

თანამდებობაზე, ესე იგი სრული ოცდაათი წელიწადი.—შარშან რუსეთის თხოვდა-ანაურობამ ერთი ადგილი დაუთმო სახელმწიფო საბჭოში საქართველოს თავად-ანაურობას (ტფილისისა და ქუთაისისს) და ამ ადგილზე საქართველოს დღევანდელ ჩვენებთან და სურვილით არჩეულ იქმნა დიდის ხმის უმეტესობით ილია ქაქავაძე;

ბანკის გარდა ილია იღებდა მონაწილეობას თითქმის ყველა ქართულ დაწველებებში, ხან როგორც თავმჯდომარე, ხან კიდევ როგორც მისი ახსნაგვი განსაკუთრებით დიდ ხანს ემსახურა ქართველთა შორის წ. კითხვის გავარცელებელ საზოგადოებას. ხშირად იწვევდნენ ხოლმე აგრადვე მთავრობის სხვა და სხვა კამისებში და მთავარმართველის სამქოში- ბევრს ეცდა ქაქავაძე თავისი აზრი გავყვანა, ხიზნების საქმე რომ სწუხებდნენ, მაგრამ ვერას გახლან. კუჩავემა თავისი ვაიტანა.

ილია გარდაიცვალა უძეოდ. ამ თოთხმეტის წლის წინად წიგნები გამოამცემლმა ქართველთა ამხანაგობ იკისრა ილია ქაქავაძის თხზულებათა დბეჭდვა. სულ დაიბეჭდა ოთხი ტომი, ს დაც მოთავსებულია ყველასაგან ცნობლი ლექსნი და მოთხრობანი: „ქართული დედისა“, „მუშა“, „იანიჩარი“, „გახ სოვის ტურფავ“, „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებლად“, „ადედა და შეი

შ ე ლ ე ს ო ნ ი

ილია ქაქავაძე (27 ოქტ. 1837—30 აგვ. 1907 წ.)

პოეტ-მწერალი და პუბლიცისტი

ჯერჯერობით შეუძლებელია დაიწეროს სრული ბიოგრაფია განსვენებულ ილია ქაქავაძისა და აინუსხოს მისი მრავალი ნაწერი, უხვად გაბნეული ყურნალა და გაზეთ „ივერიაში“, „იკისკარში“ და „საქართველოს მოამბეში“. თითქმის ორმოცდაათ წელიწადს ემსახურებოდა სამშობლო ლიტერატურას ეს შესანიშნავის ნიჭისა და ძლიერის ხასიათის ქართველი და ამ ნახევარ საუკუნის მოღვაწეობის დროს რა სავანა, რა კირი და ვარამი გინდა, რომ მის მადლიან კალმს არ განეხილოს და მსჯავრი არ დაეღოს. მართო ხელმოუწერელი მისი სავაზეთო და საეურნალო წერილები: მეთაურები, ფელეტონები, შინაური და უცხო ცხოვრების მიმოხილვანი დაიქრეს, სულ ცოტა, ხუთსა და ექვს დიდ ტანიან წიგნს. გაბნეულ წერილების ერთად შეკრებას, მათს სიტყმატყვაის და რაგზე დაწერებას თვით განსვენებული ჰევირობდა, მაგრამ ბოროტმა და ბილწმა ადამიანმა საშუალება აღარ მისცა, რომ დაეწყო და დაეკეთებინა ეს ფრიად საქირო და დიდ მნიშვნელოვანი საქმე.

ილია ქაქავაძე დაიბადა კახეთში, სოფ.



მშობელთა საყურადღებოდ, ყველა იცის, რომ ქართულ გიმნაზიის არც ერთს კლასში აღდგოლი არ არის (გარდა პირველ მოსამზადებელ განყოფილების), მსურველი კი ბევრია. ამათი დაკმაყოფილება გიმნაზიის არ შეუძლიან, მაგრამ ბავშვების გარედ დარჩენა არ შეიძლება. საქაროა ერთი კლასი მინც ვაინსნას. გიმნაზიის ეს არ შეუძლიან, რადგან ფული არა აქვს. თუ მშობლებს არა სურთ, რომ მათი შვილები სასწავლებლის გარედ დარჩნენ, ვურჩევთ, თვითონ გახსნან საქარო კლასი. ყველაზე საქაროა პირველი, რადგან ამ კლასისათვის მომზადებული ბავშვები უკვე მოსწრებულნი არიან და დრო ეკარგებათ. თუ ესენი სკოლის გარედ დარჩნენ, მაშინ მშობლებს ბევრი დედაბავშვებით შემდეგ კლასისთვის მოსამზადებლად. თითო კლასისთვის მოსამზადებლად 2000 მანეთიდან 3000 მანეთამდე. თუ შეიკრიბება 40 კაცი და თვითვე მოსწავლეზე 35 მანეთს გადაიხდიან, შესაძება 1400 მან. დანარჩენი შეიძლება სთხოვონ სასწავლებელს და იგი, ალბად, დაუმატებს. მსურველთა თხოვნით უნდა მიჭმაროთ ქართულ გიმნაზიის გამგე კომიტეტს. დაყოვნება არ იქნება: დრო მიდის და საქმეს თუ შევუდგებით, დროზე უნდა დაწყება. ა. ფ.

მერი და ჯამაგირი  
ვახუშტის ხშირად შეხვედებით ჩველს იმაზე, რომ რუსის სამსახურის მაღალი აფიცრობა დიდ ჯამაგირს აღებსო. რუსთაიანობის უბის დროს რუსების და იაპონელების გენერლების ჯამაგირს ერთმანეთს აღარებდნენ და გამოდიოდა, რომ მხოლოდ კუროპატკანი იღებდა იმდენს, რომ დენსაც მოხივე რჩეული სარდალი იპონელებისა—კუროკი, ოკუ, ნოძაუ და ნოგი. მაგრამ რუსეთის მიტროპოლიტების და ზოგიერთ ეპისკოპოსების წლიური შემოსავალი სრულებით ჩრდილავს გენერლების ჯამაგირს.

მოსკოვის მიტროპოლიტს, მაგალითად, წელიწადში ეძლევა: 6000 მანეთი ჯამაგირი, 4,000 მანეთი პურის ფული, სამღვდელ მთავრო სახლიდან 8,000 მანეთი, ჩულოვის მონასტრიდან 6,000 მანეთი, სერგიევის ლავრიდან 12,000 მ. და ივერის საჯაროდან (სამლოცველო) 45,000 მანეთი, სულ 81,000 მანეთი. პეტერბურგის მიტროპოლიტს ეძლევა: ჯამაგირი 5,000 მანეთი, პურის ფული 4,000 მ., ალ. ნეველის ლავრიდან 250,000 მანეთი და სულ 259,000 მანეთი. კიევის მიტროპოლიტს ეძლევა: ჯამაგირი 5,000 მანეთი, პურის ფული 4,000 მ., სამღვდელმთავრო სახლიდან 10,000 მ., პეტროვის ლავრიდან 65,000 მან. და სულ 84,000 მ.

ნოვგოროდის მთავარ-ეპისკოპოსს ეძლევა: ჯამაგირი 1,500 მ., პურის ფული 4,000 მანეთი, სამღვდელ-მთავრო სახლიდან 2,000 მ., ნოვგოროდის მეტოქიდან (პოდგორი) 300,000 მანეთი და სულ 307,000 მ.  
ამის შემდეგ რაღა გააკვირველია, რომ ამ ბერებმა ძველ რეგულაციის თანახმად უნდა მხარი დაუჭირონ და ხალხის გონების მიღუღლება-მ. ჩლუნგებას ხელი შეუწყონ.

**დეკემბერი**  
(პეტერბურგის დეკემბრისა ხავერდობაგან 1 სექტემბერი რუსეთში.)  
**პეტერბურგი.** სასახლის მინისტრი დეკემბრით შემდეგ იუწყება: 29 აგვისტოს დილის 10<sup>1/2</sup> საათზე სამიპერატორო იანტა „მტანდარტმა“ დუსა გადაადგო იუნგერდუნდის სრუტესთან. ნაშუადღევს პირველ საათზე შედგენილი დედოფალი შვილებითურთ ნაპირს გადავიდნენ სასეინოდ. 3 საათზე იანტამ დუსა აუშვა და თინლიანდოელ ლეგმანის წინამძღოლობით რილაგის ფილდისკენ გაემართა განუხსკის გუნძულის დახვედრით. გრინშერის გუნძულის დახვედრით, გრინშერის გუნძულის მახლობელად იანტა უფაში ქვაბ დაეჯახა და შედ გაართვა. შედში იუნგ-დედოფალი შვილებითურთ ემს „აზნა“-ზე გადახსნდნენ და დაბე იკ გაატარეს. საჩქაროდ დაიბარეს რეგულიდან და განგედან მამველი გემები. მეფე-დედოფლისთვის იანტა „ალექსანდრია“ გამიწვიეს.

**ქალბინაგორა.** იანტა „მტანდარტი“ ჯერ არ მდუნსნათ. დარი ვარგია. იანტას ხელიან. იანტა ისე ძლიერ დასჯა-ხეობა ქვას, რომ ქვაბები ადგილიდან დაძრულა.  
**ლომი.** 30 აგვისტოს სადამთი მთავარ ქუჩის კუთხეში მდებდა თავ-დასხმა. სასიკვდილოდ დასჭრეს პოლიციის 20 წლის ვაჟი.  
**ბერძენი.** ყაზანის უნივერსიტეტის საბაქტერიოლოგი ინსტიტუტის დაბორძნტმა გქიმმა ბერდნიკოვმა ბაქტერიოლოგიურად გამოიკვლია კობაიკოს ელექტროლიტური წყალი და ოფიციურად ანონდა წყლის შემწავებელს ბერძენი, რომ მიხი წყალი ხელგრის კობაიკოს ჰელავს ხუთი წუთის განმავლობაში. გამცედა ხელ ერთი მკვლელ კაცზე მდუნდენიათ.

**ოღესა.** გრადონაჩალიცმა მიიღო რამბინი და სთხოვა, ისარგებლეთ ვაგლენით და დააჯერეთ ქალაქის ებრაელები, იმედით შეშვადნენ მიმავალს და დამშვიდდნენ. შეაჩერეთ ებრაელთა ასახაზადნება და მეგ ჩემის მხრზე გვედება რუსის ასახა-გაზადნება შევაჩერდო.

**ტაგანროგი.** 8 მეთარაგებული კაცი დაეცა ქალაქის სასამართლოს ვახის, სრდლის დრდს მიტკლეს ცხენი. თავ-დამსხმელნი მიიმაღლნენ.

**უცხოეთი.**  
1 სექტემბერი.  
**თიანა.** შეკლისმა დაადგინა, დაემორჩილეს შაჰის შრძანებას და ათ-თუთხმეტის დღის განმავლობაში გამოხვადეს ახალ კაბინეტის აკვარტიანობა. თუ მინისტრები უვარგისნი გამდგნენ, მაშინ უნდა გამოსცვალდნ.

**ტანურო.** ტანუროდან მარტოკლეების ბანაკის დარბეკამ დიდი მთაბეჭდილება მიანდინა მარტოკლეებზე. სპარტელის კანცხიდან იუწყებთან, კონტრამანდით იარადი კიდევ გადააქვთ.

რედაქტორ-გამომცემელი  
ე. ავალიშვილი.

### განსხვავებანი

### სავაჭრო სკოლა

იე. მაქ. ტერ-სტეფანოვისა  
(მთავრობის სასწავლებლის უფლებებით)  
**იღვანე მარტოკლე.** სწავლის დასი ნახევარ წელიწადში: ანბანის განყოფილებაში 20 მან. მდსამზად. კლასში—25 მან. 1-ლ კლასში—30 მან.  
თხოვნების მიღება 1 სექტემბრიდან; გზამკენები 10 სექტ., სწავლა 15 სექტ. (პირველ კლასში უკვე შემოდ მიიღებთან ისინი, ვისაც ორ კლასიანი სასწავლებელი აქვს გათავგებული).  
სავაჭრო სკოლაში სწავლა დამთავრებულნი სარგებლობენ ჩინის მიღების, პირად საპატიო მოქალაქის და სამხედრო ნეგარის გადახდის დრდს შედგავთის უფლებებით

საბუხვალტრო კურსები  
ორივე სექსისთვის. ფასი 45 მან. კურსში. ადრესი: გუგია, 1 თუმანოვის ქუჩა, საკუთ სახლი, № 13. (5-292-1)

**გამოცდილი მასწავლებელი**  
ბელი ლებულოზს საშუალო სასწავლებელთა უმცროს კლასებისათვის მოსამზადებელს ქალებსა და ვაჟებს. აქვე შეიძლება მიუწვეთა სრულს ხარჯზე მდებდა და მათან საღამოებით მეცადინეობა. ნახვა შეიძლება ყოველ დღე, ნაშუადღევს 4-8 საათამდე.  
ადრესი: ყოფიანის ქუჩა, სახლი № 25 მეორე სართულში, შესავალი ეზოდან. (3-281-2)

**გიორგი ლუკას ძე კვინიტრაძე**  
**დაიკარგა**  
1906 წელს მსახურებდა ფოთში ხელზე მოსამსახურეთ, 15 წლისაა.  
ვთხოვთ, ვინც იცოდეს, აცნობოს „რის“ რედაქციაში, ვასილ კვინიტრაძეს. (1)

**კვინიტრაძე**  
ხელნაწერების შესწორების და თარგმნის: რუსულიდან ქართული და ქართულიდან რუსული. რედაქციაში.  
კვინიტრაძე  
ალ. სოლოღაშვილი  
იღებს ავანშროფებს ყოველ დღე 9-2 საათამდე და 5-7-მდე. ვოლოფინის პროსპ. № 12, სახლი მდენისა. (63)

პასუხს ვაგებთ საქონლის სიკარგისათვის!



**კალმუბისა**  
და სხვა რეზინის საქონლისათვის  
**უმაღლესი ჯ. ლდო**  
(GRAHD-PRIX)  
პარიზის გამოგენაზე მიესაჯა რუსეთში მხოლოდ „რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობას“, რომელიც დაარსდა 1860 წელს.  
სთხოვენ მუშტარს რეზინის კალოშების ყიდვის დროს ყურადღება მიუქციოს შექეს ძირზე, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვა „ს. პეტერბურგს“, რომელიც წითლად არის შემოვლებული.

ნარდად საქონლის ვაჭრობა სდება  
სავაჭრო სახლში  
**ლეოპოლდ ნეიგელერ.**  
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ოდესას, ეკატერინბურგს  
**ტ. ფ. ალისონი,**  
დონის როსტოვს, სარკოვს, ირკუტსკს, კიევის და ტაშკენტში  
აქვე ნარდად იყიდება **ფახსასცველი** პეტერბურგის საექსპორტო წარმოების ამხანაგობისა.  
იქვეა საწუბოი რუსეთისა და სასდვარ-გარეთელ ტყავისა. (100-56)

**მხოლოდ ორი დღე**  
**3 ლა 4 სექტემბერი**  
**კ. ს. ლობოჟენოვის**  
მთავარ საყუოგში  
რაც საქონელი დარჩა  
**უკანასკნელ იაფ ვაჭრობისაგან**  
ორ შემოსენებულ დღეს.  
**ესე იგი ორშაბათს, სამს, და სამშაბათს, 4 სექტემბერს**  
**გაიყიდება**  
**საოცარ იაფ ფასად**  
ვინც ქვემოდ დასახელებულ თანხის საქონელს იყიდის,  
**იხას განსაკუთრებულად დაუკლებენ ფასებს**  
5 მანეთიდან 25 მანეთამდე შეიდეგელს დაეკლება 8% მანეთიდან.  
25 მანეთიდან 50 მანეთამდე შეიდეგელს დაეკლება 10% მანეთიდან.  
50 მანეთზე მეტისას შეიდეგელს დაეკლება 12% მანეთიდან.  
მაღაზია შემოსენებულ დღეებში სავაჭროდ ღია იქნება დილის 9-11<sup>1/2</sup> საათამდე და ნაშუადღევს 3<sup>1/2</sup>-5<sup>1/2</sup> საათამდე. (1-279-1)